

ჯონ სტაინბექი

# თაგვებსა და აღამიანებზე

რომანი

ინგლისურიდან თარგმნა გვანცა ჯობავამ



გამომცემლობა არტანუჯი

თბილისი

მდინარე სალინასი სოლედადის სამხრეთით რამდენიმე მილში, ბორცვისპირა სანაპიროსთან ეშვება და შემდეგ უკიდევანოდ ღრმა და მწვანით მოსილი მიედინება. წყალი თბილია, რადგან ვიდრე ვიწრო აუზში მოექცეოდა, დიდხანს მოლივლივებდა ყვითელ ქვიშაზე თაკარა მზის ქვეშ. მდინარის ერთ მხარეს ოქროსფერი სივრცე იშლება, რომელიც გაბილანის ძლევაგამოსილი, კლდოვანი მთების წინაშე აღმართული, ხეობის მეორე მხარეს კი წყალი დასერილია ხეებით – ტირიფებით, რომლებიც გაზაფხულზე ქორფა სიმწვანით იმოსებიან და ზამთრის წყალდიდობებს მოყოლილ ნაფოტებს ქვედა ტოტების ფოთლებქვეშ ინახავენ, – და ნეკერჩხლებით, თეთრხალებიანი, გადაზნექილი მსხვილი და წვრილი ტოტებით მდინარის კალაპოტს თალივით რომ გადახურვიან. ქვიშის სანაპიროზე ხეებქვეშ ისე უხვად ყრია ხმელი ფოთლები, რომ ხვლიკიც ვერ გაირბენს უხმაუროდ. საღამოობით კურდღლები ბუჩქებიდან სილაზე გამოდიან, ღამღამობით კი სანაპიროს ვრცელი, ნესტიანი მიდამო მოფენილია ენოტების ნაკვალევით, შუალამით წყლის დასალევად რანჩოებიდან გამოსული ძაღლების თათებისა და ირემთა ორად გაპობილი ჩლიქების ანაბეჭდებით.

ტირიფებსა და ნეკერჩხლებს შორის ბილიკი გათელილი აქვთ რანჩოებიდან ღრმა მდინარეში საცურაოდ ჩამოსულ ბიჭებს და დატკეპნილი – მანანნალებს, საღამოობით გზატკეცილიდან რომ გადმოუხვევენ ხოლმე დაღლილები მდინარის პირას ღამის გასათევად. გიგანტური ნეკერჩხლის ჰორიზონტალურად გადმონოლილი მსხვილი ტოტის წინ ნაცრის დიდი გროვავა, რომელიც ამ ადგილას ხშირად გაჩაღებულ კოცონზე მიუთითებს. მსხვილი ტოტი კი, რომელიც უამრავი ადამიანის მოსასვენებელი ადგილი გამხდარა, ამდენი ჯდომისგან უკვე გამოფიტულა და გალულა.

ცხელი დღის შემდეგ, საღამოხანს სუსტმა ნიავმა ფოთლები ააშრიალა. ჩრდილი ნელ-ნელა მთის მწვერვალებსაც გადაეფარა. სილიან სანაპიროზე კურდღლები პატარა, ნაცრისფერი გამოქანდაკებული ქვებივით ჩამოსხდნენ. მალე შარავზის მხრიდან ფეხის ხმა მოისმა – ვილაც ნეკერჩხლის გამხმარ ფოთლებს შორის მოაბიჯებდა. კურდღლებმა უჩუმრად თავშესაფრებს მიაშურეს. თავმომწონე ყანჩა ჰაერში შეფრთხილდა და მძიმედ დაეშვა მდინარისკენ. სულ ერთი წამით ირგვლივ სიჩუმემ დაისადგურა, შემდეგ კი ბილიკზე ორი კაცი გამოჩნდა, რომლებიც მწვანე გუბურასთან, მდელოზე გამოვიდნენ.

ბილიკს ერთმანეთის მიყოლებით მოუყვებოდნენ და გაშლილ მდელოზეც კი ის ერთი მეორის უკან იდგა. ორივეს ტილოს შარვლები და თითბრისლილებიანი ქურთუკები ეცვათ, შავი, უფორმო შლაპები ეხურათ და მხარზე მჭიდროდ დახვეული პლედები ჰქონდათ მოგდებული. წინ მომავალი კაცი პატარა და სწრაფი იყო, მუქი ფერის სახე, მოუსხვე-

ნარი თვალები და მკაცრი, ძლიერი ნაკვეთები ჰქონდა. მისი სხეულის თითოეული ნაწილი გამომსახველობითი იყო: პატარა, ძლიერი ხელები, მოხდენილი მკლავები, თხელი და სწორი ცხვირი. მის უკან კი გოლიათივით კაცი მოაბიჯებდა, ბრტყელი სახით, დიდი, უღიმღამო თვალებით, განიერი, ჩამოშვებული მხრებით. მოდიოდა მძიმედ, ფეხებს ოდნავ მოათრევდა, ზუსტად ისე, როგორც დათვი – თავის თათებს. სიარულის დროს ხელებს არ ამოდრავებდა, უსარგებლოდ ჰქონდა ჩამოყრილი.

ნინ მომავალი მამაკაცი ისე მოულოდნელად შედგა მდელოზე, რომ უკანმიმყოფი ლამის დაეჯახა. პირველმა შლაპა მოიხადა და საჩვენებელი თითით ქუდის შიდა მხარეს ტყავის ლენტს ოფლის წვეთები მოაშორა. მისმა გოლიათმა თანამგზავრმა პლედები ძირს დაყარა, დაემხო და პირდაპირ მწვანე გუბურაში დაენაფა წყალს. სვამდა ხარბად, დიდი ყლუპებით და ცხენივით ფრუტუნებდა. პატარა კაცს მოუსვენრობა დაეტყო და ზურგიდან მიუახლოვდა.

– ლენი, – უთხრა მკვახედ, – ლენი, თუ ღმერთი გნამს, ამდენს ნუ სვამ. – ლენი კი გუბურაში ცხენივით ფრუტუნს განაგრძობდა. პატარა კაცი გადაიხარა და მხრებით მოზიდა.

– ლენი, ნუხანდელივით ავად გახდები.

ლენი ჯერ შლაპიანად წყალში ჩაყურყუმელავდა, შემდეგ ნაპირზე ჩამოჯდა, წყლის წვეთები შლაპიდან ლურჯ ქურთუკსა და მთელს ზურგზე ნურნურით ჩამოსდიოდა.

– კარგია, – თქვა მან, – შენც დალიე, ჯორჯ, ბევრი დალიე, – გაუღიმა ბედნიერად.

ჯორჯმა დახვეული პლედი მოიხსნა და ფრთხილად დადო მინაზე.

– ეს წყალი რაღაც სუფთას არ ჰგავს, ძალიან ქაფიანია.

ლენიმ თავისი ტორი წყალში ჩაჰყო და თითები ისე აათამაშა, რომ წყალი აქაფდა, შემდეგ წრეები გაფართოვდა, გუბურის მეორე მხარისკენ იქცია პირი და შემდეგ უკან შემობრუნდა. ლენი თვალმოუშორებლად უყურებდა:

– ნახე, ჯორჯ, ნახე, რა გავაკეთე.

ჯორჯმა გუბურასთან ჩაიჩოქა და პეშვით სწრაფად დალია წყალი.

– გემოს არა უშავს, – აღიარა მან, – თუმცა, არ მგონია გამდინარე იყოს. ლენი, არ უნდა დალიო წყალი, თუ ის გამდინარე არ არის. აბა, შენ თუ მოგწყურდა, ჭუჭყიანი სანი-აღვრედანაც დალეე. – ერთი მუჭა წყალი სახეში შეისხა და ნიკაპქვემ ყელი და კისერი ხელით ჩამოიბანა. შემდეგ ისევ დაიხურა შლაპა, წყლისგან მოშორებით ჩამოჯდა, ფეხები მოიკეცა და ხელები შემოაჭდო. ლენიმ, რომელიც თვალს არ აშორებდა, ზედმინევნიტ გაიმეორა იგივე: წყლისგან მოშორებით ჩამოჯდა, ფეხები მოიკეცა, ხელები შემოაჭდო და ისევ ჯორჯს შეხედა, რომ დარწმუნებულიყო, ყველაფერი სწორად გააკეთა თუ არა, და ამის შემდეგ შლაპა თვალებზე ოდნავ ჩამოიფხატა, ზუსტად ისე, ჯორჯივით.

ჯორჯი გულმოსული მისჩერებოდა მდინარეს. მცხუნვარე მზეზე თვალის უპეები სულ მთლად დასწითლებოდა. გაბრაზებით წამოიძახა:

– იმ ნაძირალა ავტობუსის მძღოლს ყველაფერი რომ არ აერია, პირდაპირ რანჩოსთან მივიდოდით. თქვა, ორ ნაბიჯშია გზატკეცილიდან, სულ რაღაც ორ ნაბიჯშიო. ღმერთმა

დასწყევლოს, მაგისი ორი ნაბიჯი კაი ოთხი მილი გამოვიდა. უბრალოდ არ უნდოდა რანჩოს კართან გაჩერება, ეგ იყო მიზეზი. ნარმოგიდგენიათ, ავტობუსის გაჩერებაც კი ეზარება. ალბათ ერჩივნა სოლედადში საერთოდ არ გაჩერებულყო. ჩამოგვყარა ავტობუსიდან და გვეუბნება, გზატკეცილიდან ორ ნაბიჯშიაო. ალბათ ოთხ მილზე მეტიც გავიარეთ უკვე. თან ამ ჯოჯოხეთურ სიცხეში.

– ჯორჯ. – მოკრძალებით შეხედა ლენიმ.

– ჰო, რა გინდა?

– სად მივდივართ, ჯორჯ?

მომცრო კაცმა ნერვულად კიდევ უფრო ჩამოიფხატა შლაპა თვალებზე და ლენის მკვახედ მიუგო:

– ისევ დაგავინყდა, არა? ისევ თავიდან უნდა აგისხნა, ხო? ღმერთო ჩემო, შეშლილი ნაძირალა ხარ!

– დამავინყდა, – ჩუმიად თქვა ლენიმ, – ვცდილობდი, არ დამავინყებოდა, ღმერთია მონამე, ვცდილობდი, ჯორჯ.

– კარგი, კარგი, გეტყვი კიდევ ერთხელ. მე ხომ მაინც სხვა საქმე არ მაქვს, მთელ დროს იმაში ვხარჯავ, რომ შენ რაღაცებს გეუბნები, შენ გავინყდება და მე ისევ თავიდან გეუბნები.

– ძალიან ვეცადე, – უპასუხა ლენიმ, – მაგრამ არაფერი გამოვიდა. სამაგიეროდ, კურდღლებზე მახსოვს, ჯორჯ.

– ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ მაგ კურდღლებს. ერთადერთი, რაც არ გავინყდება, ეგ კურდღლებია. კარგი! ახლა კარგად მომისმინე და ამჯერად უნდა დაიმახსოვრო, თუ გინდა ხიფათს არ გადავეყაროთ. გახსოვს, ჰოვარდ სტრიტზე როგორ ვისხედით იმ ხვრელთან და შავ დაფას ვუყურებდით?

ლენის სახეზე კმაყოფილების ღიმილი დააჩნდა.

– რა თქმა უნდა, ჯორჯ, მახსოვს... მაგრამ... რას ვაკეთებდით? მახსოვს, წინ ვილაც გოგონები დადიოდნენ და შენ თქვი... შენ თქვი...

– ჭირსაც ნაუღია, მე რა ვთქვი. გახსოვს, მარეის და რედის ოფისში რომ მივედით და მათ სამუშაო ბარათები და ავტობუსის ბილეთები რომ მოგვცეს?

– რა თქმა უნდა, ჯორჯ. ახლა გამახსენდა, – თქვა ლენიმ, სწრაფად ჩაიყო ორივე ხელი ჯიბეებში და ფრთხილად უპასუხა, – ჯორჯ... ჩემი ბარათი აღარ მაქვს. მგონი დავკარგე, – და უიმედოდ დახარა თვალები.

– არც არასდროს გქონია, რეგვენო. ორივე მე შევინახე. როგორ გგონია, შენ ჩაგაბარებდი?

ლენიმ შვეებით ამოისუნთქა და გაიღიმა.

– მე... მეგონა ჯიბეში შევინახე.

და ისევ ჯიბეში ჩაიყო ხელი.

ჯორჯმა ეჭვით შეხედა.

– ჯიბეში რა გაქვს?

– არაფერი, ჯორჯ, – იეშმაკა ლენიმ.

– ვიცი, რომ ჯიბეში აღარ გაქვს, იმიტომ რომ ახლა ხელში მალავ. რა გიჭირავს ხელში?

– არაფერი, ჯორჯ, არ გატყუებ.

– მაჩვენე, რა გაქვს.

ლენიმ მუშტი უკან განია.

– ეს უბრალოდ თავგია, ჯორჯ.

– თავგი? ცოცხალი თავგი?

– უჰ, მკვდარი თავგია, ჯორჯ. მე არ მომიკლავს. მართ-  
ლა! ვიპოვე, მკვდარი ვიპოვე.

– მომეცი! – უთხრა ჯორჯმა.

– გთხოვ, ჯორჯ, არ წამართვა.

– მომეცი!

ლენის ხელი ნელ-ნელა დამორჩილდა. ჯორჯმა გამოარ-  
თვა თავი და გუბურის მეორე მხარეს, ბუჩქებში მოისროლა.

– რა ჯანდაბად გინდა მკვდარი თავი?

– რომ მოვდიოდით, ცერა თითით ვეფერებოდი, – მიუგო  
ლენიმ.

– როცა ჩემთან ერთად ხარ, ამის გაკეთება არ გაბედო.  
ახლა გახსოვს, სად მივდივართ?

ლენი შეკრთა და დაბნეულობისგან თავი მუხლებში ჩარ-  
გო.

– დამავინყდა.

– ღმერთო მაღალო! – თქვა ჯორჯმა მორჩილად, – მოკ-  
ლედ, ჩვენ უნდა ვიმუშაოთ რანჩოში, როგორც იქ, ჩრდი-  
ლოეთში.

– ჩრდილოეთში?

– უიდეში.

– აჰ, კი, უიდეში, მახსოვს.

– რანჩო, სადაც ახლა მივდივართ, აი, იქ არის, მეოთხედ  
მილში აქედან. იქ უნდა მივიდეთ და ბოსი ვნახოთ. ახლა მის-  
მინე, მე სამუშაო ბარათებს მივცემ, მაგრამ შენ ხმა არ უნდა  
ამოიღო. უბრალოდ ხმაგაკმენდილი იდექი. თუ შეგატყო, რო-  
გორი შეშლილი ნაძირალა ხარ, სამსახურს ვერ ველირსებით.



მაგრამ, სანამ შენს ხმას გაიგონებდეს, იქამდე თუ მუშაობა-ში გაგიცნო, მაშინ თავი ქუდში გვაქვს. გაიგე?

– აბა რა, ჯორჯ, გავიგე.

– კარგი, ანუ ბოსთან რომ მივალთ, შენ რას გააკეთებ?

– მე... მე, – ლენი დაფიქრდა. ფიქრისგან სახე დაებერა,  
– მე... არაფერს ვიტყვი. უბრალოდ ვიდგები.

– კარგი ბიჭი ხარ. ყოჩაღ. ორ-სამჯერ გაიმეორე, რომ არ დაგავინყდეს.

ლენი ჩუმად თავისთვის იმეორებდა:

– ხმა არ უნდა ამოვიღო... ხმა არ უნდა ამოვიღო... ხმა არ უნდა ამოვიღო.

– კარგი, – უთხრა ჯორჯმა, – და რაც უიღში გააკეთე, ეგეთ ცუდ რამეს აღარ მოიმოქმედებ.

ლენი საგონებელში ჩავარდა.

– რაც უიღში გავაკეთე?

– აჰ, ეგეც დაგავინყდა? კარგი, მაშინ არ გაგახსენებ, თორემ ისევ გაიმეორებ.

ლენის თითქოს გონება გაეხსნა:

– უიდიდან გამოგვყარეს, – წამოროშა საზეიმოდ.

– გამოგვყარეს, როგორ არა, – მიახალა ჯორჯმა გაბრაზებით, – გამოვიქეციით. გვეძებდნენ, მაგრამ ვერ დაგვიჭირეს.

ლენიმ მხიარულად ჩაიხითხითა.

– ხედავ, არ დამვინყებია.

ჯორჯი ქვიშაზე წამოწვა და თავქვემ ხელები ამოიღო, ლენიმაც იგივე გაიმეორა. შემდეგ თავი წამოწია, რომ დარ-

წმუნებულიყო, ყველაფერი ზუსტად გააკეთა თუ არა.

– ღმერთო, ლენი, შენგან მხოლოდ უსიამოვნებებს უნდა ველოდო, – უთხრა ჯორჯმა, – რა ადვილად გავიტანდი თავს, კუდზე რომ არ მყავდე გამობმული. იოლად ვიცხოვრებდი და იქნებ მეგობარი გოგოც მყოლოდა.

ლენი სულ ერთი წუთით უხმოდ იწვა, შემდეგ კი იმედის-მომცემად უპასუხა:

– რანჩოში უნდა ვიმუშავოთ, ჯორჯ.

– კარგი. როგორც იქნა, დაიმახსოვრე. მაგრამ ღამეს აქ გავათევთ, ასე მინდა.

დღე სწრაფად იწურებოდა. ხეობა ბინდში ჩაიძირა. მხოლოდ გაბილანის მთების წვერები გაენათებინა მზეს. გუბურის გასწვრივ წყლის გველი გასრიალდა, თავი პატარა პერიოსკოპივით წამოემართა. ლერწმები მღელვარე მდინარებით ირწეოდნენ. სადღაც შორს, გზატკეცილთან კაცის ხმა გაისმა, რომელსაც მეორე გამოეპასუხა. ნეკერჩხლის ტოტები ნიავმა ოდნავ შეარხია და იქვე მიყუჩდა.